

მეხილე - 010157
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მეხილის საქმიანობა მიეკუთვნება აგრარული მიმართულების სფეროს და ორიენტირებულია სავსე პირობებში (ბაღი) სხვადასხვა სახის აგროტექნიკური კომპლექსური სამუშაოების ჩატარებაზე თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

II. დასაქმების სფერო

სახელმწიფო და ფერმერული მეურნეობები; სხვადასხვა სახის აგროფირმები; ბოტანიკური ბაღები.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეორე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მეხილის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (II, III, IV). თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

მეხილის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 15 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მეხილის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

მეხილის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 20 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მეხილის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

მეხილის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მეხილის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

V. მეხილის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

მეხილის მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>აქვს პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად საჭირო ზოგადი განათლება. აცნობიერებს ბაღის გასაშენებლად საჭირო იმ ღონისძიებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ხეხილოვანი მცენარეების ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.</p>	<p>შეუძლია, ხელმძღვანელის დახმარებით, პრაქტიკულად შეასრულოს შემდეგი სახის სამუშაოები: ბაღისათვის ადგილის შერჩევა, ქარსაფრების გაშენება, კვარტლის ოპტიმალური ზომის დადგენა, საბაღე ნაკვეთის კვარტლებად დაყოფა, მცენარის კვების არის დადგენა და მცენარეთა გაადგილების სისტემის განსაზღვრა, ნამყენის მომზადება დასარგავად, დასარგავი ორმოების მომზადება და დარგვა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.</p>	<p>მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხელმძღვანელთან შეთანხმებით, შეუძლია შეცვალოს კვარტლის ჯიშური შედგენილობა ახალი კონკურენტუნარიანი ჯიშებით. დამოუკიდებლად შეასწოროს არასწორად მომზადებული დასარგავი ორმოები და ნამყენი. განსაზღვროს საჭიროა, თუ არა პლანტაჟის ჩატარება ნიადაგის ტიპისაგან დამოკიდებულებით; სწორად არის შერჩეული, თუ არა ქარსაფრის კონსტრუქცია.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>	<p>შეუძლია მიიღოს და გაცვალოს ზეპირი და წერილობითი ინფორმაცია მონათესავე დარგების (აგროქიმიკოსებთან, ნიადაგმცოდნეებთან, მცენარეთა დამცველებთან) სპეციალისტებთან. მისცეს ფერმერებს რჩევები ბაღის გაშენების საკითხებზე. დაამყაროს ურთიერთობა უცხოენოვან სპეციალისტებთან.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.</p>	<p>შეუძლია: ხელმძღვანელის დახმარებით, აითვისოს პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული ნაწილი: მეხილეობის საფუძველებში, ნიადაგმცოდნეობაში, აგროქიმიკაში; შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება. ცოდნის გაღრმავება თანამედროვე ტექნოლოგიების</p>

		გამოყენებით.
ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	გაცნობიერებული აქვს მეხილის პროფესიის მნიშვნელობა ადამიანის კვების საქმეში, საკონსერვო წარმოებაში და ქვეყნის ეკონომიკაში. აცნობიერებს შრომის უსაფრთხოების, პროდუქციის ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვის აუცილებლობას.

მეხილის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	აქვს პროფესიული საქმიანობის თეორიული ცოდნა, რაც ითვალისწინებს: აგროტექნიკურ ღონისძიებებს, რომლის დანიშნულებაცაა უზრუნველყოს ახალგაზრდა მცენარეების ფესვთა სისტემის სწრაფი განვითარება; ფორმირების თანამედროვე წესის შესაბამისი მტკიცე ვარჯის ჩამოყალიბება და მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების გატარება. გაცნობიერებული აქვს ხეხილოვანი მცენარეების ბიოლოგიური თავისებურებანი. შეუძლია ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით შეარჩიოს კულტურები და ჯიშები და მათი მოვლის ღონისძიებანი საუკეთესო ხარისხის მაღალი მოსავლის მისაღებად.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია პრაქტიკულად შეასრულოს ბაღის (ახალგაზრდა და მსხმოიარე) მოვლის სამუშაოები, რაც გულისხმობს: ბაღში ნიადაგის მოვლას, მორწყვას, განოყიერებას, გასხვლა-ფორმირებას შტამბის და ვარჯის ჩამოყალიბების მიზნით. ნიადაგის ტიპისაგან გამომდინარე შეარჩიოს რიგთაშორისების მოვლის წესი; გაიანგარიშოს მორწყვისა და სასუქების ნორმები; აირჩიოს ფორმირების წესი; მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი	შეუძლია: წერილობით, ზეპირი თუ ვიზუალური ფორმით პროფესიული ცოდნის დემონსტრირება; პრაქტიკული საქმიანობის საფუძველზე დასკვნის გამოტანა; კრიტიკულად შეაფასოს გაშენებული ბალის ტიპი, ქარსაფრების კონსტრუქცია და ნიადაგის მოვლის წესები.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია: ეფექტურად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები ახალ ჯიშებთან და ფორმირების წესებთან დაკავშირებით; ახალი ტექნოლოგიური საშუალებებისა და მიღწევების მოძიება და გაზიარება; უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული საგნების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა; ნასწავლი მასალის გადმოცემა და პრაქტიკულად განხორციელება. შეუძლია საჭირო ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება. სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების დაგეგმვა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	წმინდობის სიტუაციაში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. პასუხისმგებლობით ეკიდება ბაღში აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას და აფასებს მათ მნიშვნელობას ხარისხიანი მოსავლის მისაღებად. იცავს უსაფრთხოების და გარემოს დაცვის ნორმებს.

მეხილის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	აქვს პროფესიული ცოდნა, რაც ითვალისწინებს: ადგილის შერჩევას მეხილის ბაღის გასაშენებლად; ნიადაგის დარგვის წინა მომზადებას და დარგვას; ბაღში ნიადაგის მოვლას, მორწყვას, განოყიერებას, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლას; მეხილის ვარჯის სხვლას და ფორმირებას. ხილის კრეფის ვადების დადგენას, კრეფას და სასქონლო დამუშავებას. ხილის შენახვის პირობებს.
-----------------------	---	---

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნი</p>	<p>შეუძლია პრაქტიკულად შეასრულოს შემდეგი სახის სამუშაოები: კვარტლის ოპტიმალური ზომის დადგენა; საბაღე ნაკვეთის კვარტლებად დაყოფა; მცენარის კვების არის დადგენა და მცენარეთა გაადგილების სისტემის განსაზღვრა; ნამყენის მომზადება დასარგავად; დასარგავი ორმოების მომზადება; დარგვა. ახალგაზრდა ბაღის მოვლა. სხვლის და ფორმირების სხვადასხვა წესების პრაქტიკულად შესრულება კულტურების თავისებურებების გათვალისწინებით. ახალგაზრდა და მსხმოიარე ბაღში სასუქების და ჰერბიციდების გამოყენება, რწყვა, ვადებისა და ნორმების დაცვით. ხეხილის მავნებლებისა და დაავადებათა წინამძღვრ ბრძოლა. ხილის კრეფის ტექნიკა (საკრეფი ინვენტარის მომზადება). ხილის დახარისხება, დაყალიბება, ჩაწყობა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ხილის წარმოებასთან დაკავშირებული სპეციფიკური პრობლემების ამოცნობა და გადაჭრა. შეუძლია სწორად შეაფასოს და გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდები და ტექნოლოგიები კონკურენტუნარიანი ჯიშების, ვარჯის თანამედროვე წესებით ფორმირების გამოსაყვანად და, სასუქების და შხამქიმიკატების საჭირო სახეები და ნორმების შესარჩევად. შეუძლია სწორი დასკვნების გაკეთება არაორდინალურ პირობებში.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია: დაინტერესებულ ორგანიზაციებს მიაწოდოს სრული ინფორმაცია ხილის წარმოების თანამედროვე წესების შესახებ; მისცეს რჩევები ფერმერებს ბაღის გაშენების საკითხებზე; შეუძლია ურთიერთობის დამყარება უცხოენოვან სპეციალისტებთან; გაეცნოს სიახლეებს, სარეკლამო გამოცემებს და ახალ ტექნოლოგიებს.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია მიღებული ცოდნის გაღრმავება თანამედროვე გამოცემებით და ტექნოლოგიებით. პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და პროფესიულ საქმიანობაში მიზნობრივი გამოყენება.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>აცნობიერებს და აფასებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ მოვალეობებს, ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს. ზრუნავს შრომისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვაზე.</p>